



მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 13 დეკემბერი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ოფისი
(ყოფილი ევროპის სახლი)

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
2. მარინე სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი „ლეა“
3. ნაირა ბეპიევი - „კავკასიური მოზაიკა“
4. ლეილა ნაროშვილი - რეპატრიანტთა კავშირი
5. ნანა გელაშვილი - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
6. ტასო მთავრიშვილი - გადავარჩინოთ მომავალი თაობა
7. ალექსანდრა კალატოზიშვილი - ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“
8. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრი
9. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა აოციაცია „თანხმობა“
10. ივლიტა გოგუა- პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“
11. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია ტოლერანტი
12. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
13. ირმა გელენავა - განიარაღება და არამძალადობა
14. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი

განსახილველი საკითხები:

- ✚ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შედეგები;
- ✚ წესდებაში შესატანი ცვლილებების განხილვა;
- ✚ სექტორალური შეხვედრების ორგანიზება, ადვოკატირების პროცესის დაგეგმვა;
- ✚ სხვა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად, მოწვეულმა სტუმარმა ორგანიზაციის „ლიბერალური აკადემია თბილისი“-ს დირექტორმა ბატონმა ლაშა ტულუშმა ისაუბრა მთავრობასთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტების საფუძველზე, ადვოკატირების პროცესის გაძლიერების შესაძლებლობაზე. როგორც მან აღნიშნა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები მთავრობასთან, რომ შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც დროში გაწერილი იქნება თითოეული პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, საკითხთან დაკავშირებულ, რელევანტურ სამინისტროებთან შეხვედრები.

ბატონმა ლაშამ, ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესებზე და აღნიშნა, რომ მემორანდუმის ეფექტური იმპლემენტაციისთვის იგეგმება სამუშაო შეხვედრა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ქალბატონ თამარ ხულორდავასთან.

მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ უკვე არსებობს შეთანხმება - როგორც კი კომიტეტში განსახილველად შევა კანონპროექტი, რომელიც დაკავშირებულია ევროინტეგრაციასთან, ავტომატურად გადმოეგზავნება პლატფორმას და პლატფორმის წევრებს ექნებათ შესაძლებლობა საკუთარი კომენტარები დაურთონ კანონს. ამასთანავე, მათ მიერ შემუშავებულ კომენტარებს გაეცნობიან დეპუტატები და მოიწვევენ პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს საკომიტეტო მოსმენებზე.

აქვე, გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრის წარმომადგენელმა ქალბატონმა ნატო ბაჩიაშვილმა გამოთქვა ინიციატივა, პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები, შეხვდნენ ჟენევის ფორმატში ჩართულ სხვადასხვა უწყებებს, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ბატონ დავით დონდუას, უსაფრთხოების სამსახურიდან ბატონ კახა ქემოკლიძეს და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ქალბატონ ქეთევან ციხელაშვილს.

საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“ს წარმომადგენელმა, ბატონმა თენგიზ სვანიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ერთ-ერთ საკითხად ამ შეხვედრაზე განიხილონ კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

ჯგუფი შეთანხმდა, რომ კარგი იქნება პლატფორმამ, ან მეოთხე სამუშაო ჯგუფმა, შეიმუშაოს განცხადება აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით.

შემდეგ საკითხად, „კავკასიური მოზაიკის“ წარმომადგენელმა ქალბატონმა ნაირა ბეპიევამ გამოთქვა კონკრეტული მოსაზრებები პლატფორმის სამუშაო წესთან, ფორუმში მონაწილე კანდიდატების შერჩევასა და პლატფორმის წევრებთან კომუნიკაციის შესახებ. მან ასევე,

გამოხატა სურვილი, რომ პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს მიეწოდოთ ინფორმაცია, სხვა წევრების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა ნატო ბაჩიაშვილმა გამოთქვა ინიციატივა ჯგუფის შეხვედრების ერთი ნაწილი, მიემდგნას მოკლე მიმოხილვას, თუ რა აქტივობები განხორციელეს წევრმა ორგანიზაციებმა.

ჯგუფის კოორდინატორმა ბატონმა ნუკრი ყველაშვილმა, გამოთქვა მოსაზრება, რამდენადაც ჯგუფის შეხვედრები მაღალი დასწრებით არ გამოირჩევა, უმჯობესი იქნება ორგანიზაციებმა Google ჯგუფის საშუალებით, გაავრცელონ ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ამის შემდგომ, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ წარმომადგენელმა ქალბატონმა იულია ხარაშვილმა ისაუბრა საერთაშორისო შეხვედრების შედეგებზე, რომლებშიც თავად მონაწილეობდა. როგორც ქალბატონმა იულიამ აღნიშნა, გერმანიაში, ქალაქ ჰამბურგში, 8-9 დეკემბერს ჩატარდა ეუთოს მინისტრიალი. მინისტრიალამდე კი შეიკრიბა სამოქალაქო სოლიდარობის პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ყოფილი საბჭოთა ქვეყნების, ცენტრალური აზიის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. შეხვედრის შედეგად, მომზადებული იყო ჰამბურგის დეკლარაცია, რომელიც ეხებოდა სამოქალაქო საზოგადოების შევიწროვების პრობლემას წევრ ქვეყნებში. დეკლარაციაში ასევე, ერთი თავი დაეთმო კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ გოგონათა და ქალთა უფლებების დაცვის მნიშვნელობას. როგორც ქალბატონმა იულიამ აღნიშნა, ამ დოკუმენტში არ იყო მოხსენიებული საქართველოს შემთხვევა, რამაც მისი მხრიდან პროტესტი გამოიწვია. მან დააფიქსირა რა საკუთარი მოსაზრება, მიიღო წინადადება, წერილობით გაუგზავნოს ანალიზი საქართველოს შესახებ, რომელიც დამატების სახით დაერთვება დოკუმენტს.

მან ასევე მიაწოდა ინფორმაცია ნატოსთან არსებული სამოქალაქო საზოგადოების მრჩეველთა საბჭოს შესახებ, რომელშიც 15 ექსპერტი და 20 ორგანიზაციაა გაერთიანებული. საბჭოს მიზანია სამოქმედო გეგმაში, რომელიც ნატომ შეიმუშავა რეზოლუცია 13/25-ის იმპლემენტაციისთვის, შეიტანოს თავისი წინადადებები და რეკომენდაციები. გარდა ამისა, ნატოს გენერალური მდივნის წარმომადგენელი გენდერული თანასწორობის საკითხებში მარტის დასაწყისში ესტუმრება საქართველოს და გეგმავს შეხვედრას დევნილებთან, ასევე პარლამენტთან.

ქალბატონმა იულიამ გააჟღერა ინიციატივა, რომ სასურველია პლატფორმა გაეცნოს საერთაშორისო ორგანიზაციების სამუშაო კალენდარს და წინასწარ მოამზადოს დოკუმენტები, კონკრეტული წინადადებები და აქტიურად ჩაერთოს სამუშაო პროცესში.

შეხვედრის შემდეგ ნაწილში, ბატონმა ნუკრიმ მოკლედ მიმოიხილა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შედეგები და ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ეროვნულ კოორდინატორად არჩეულ იქნა ბატონი კახა გოგოლაშვილი, ხოლო მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორად ქალბატონი ალექსანდრა კალატოზიშვილი. მან ასევე აღნიშნა, რომ ორივენი არიან ფორუმის მმართველი კომიტეტის წევრები.

დროის სიმცირიდან გამომდინარე, წესდებასთან დაკავშირებული საკითხის განიხილვა გადაიდო და გამოითქვა მოსაზრება, ჯგუფის თითოეულმა წევრმა, რომელსაც აქვს კონკრეტული წინადადებები, მოიწეროს საკუთარი მოსაზრებები Google ჯგუფში.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.